სახელმწიფო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 148 (10234) | პარასკევი, 24 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა!

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადება. ეჭვი არ არის, რომ ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან მშვიდობისმოყვარე ხალხები.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს მოსკოვში ყოფნის დროს რამდენიმე საუბარი ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ბულგანინთან და საბჭოთა მთავრობის სხვა წევრებთან. ეს საუბრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში. მშვიდობისმოყვარე ხალხები, რომლებიც უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობას, გამოთქვამდნენ იმედს, რომ ამ შეხვედრების შედეგად შეტანილ იქნება ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო თანამშრომლობის და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ეს იმედები და მისწრაფებანი ხალხებისა, რომლებსაც მშვიდობა სწყურიათ, მთლიანად გამართლდა.

ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურების საუბრები, რაც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და მოიცავდა საკითხების ფართო წრეს, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს, აგრეთვე საერთაშორისო ხასიათის დიდ პრობლემებს, დამთავრდა ერთობლივი განცხადების ხელმოწერით, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს.

ეს დოკუმენტი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ამასთან ერთად მასში დასახულია გზები, მეთოდები და საშუალებანი, რომლებითაც მთავრობებსა და ხალხებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ახალი ომი, რომლის გაჩაღებას, მიუხედავად ხალხთა ნებისა, ცდილობენ იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული წრეები.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიც არის: ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა; თავდაუსხმელობა; ეკონომიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მოტივით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა; მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს პრინციპები დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სწორია დიდი ლენინის მიერ გამოცხადებული დებულება სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ. ადგანან რა ამ გზას, სსრ კავშირმა და ინდოეთმა დაამყარეს მტკიცე მეგობრული ურთიერთობა, მიაღწიეს ურთიერთგაგებას, განუხრელად აფართოებენ ეკონომიურ თანამშრომლობას, წარმატებით ავითარებენ კულტურულ ურთიერთობას.

ხაზგასმით აღნიშნავდა რა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ამ პრინციპების მნიშვნელობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოსკოვში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა იწონებს ამ პრინციპებს და მიაჩნია, რომ ისინი შეიძლება გახდეს ყველა ხალხის საერთო პლატფორმა მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პრინციპების კეთილნაყოფიერი მოქმედების მკაფიო მაგალითი იყო აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ბანდუნგის კონფერენცია.

ამ პრინციპების უფრო ფართო მასშტაბით გამოყენება იმის მთავარი იმედია, რომ აღმოიფხვრება ხალხების შეგნებიდან შიში და უნდობლობა და ამრიგად შენელდება საერთაშორისო დაძაბულობა.

„ამ პრინციპების უფრო ფართოდ აღიარება, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, — გააფართოებს მშვიდობის სფეროს, ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთ ნდობის დამყარებას და დასახავს უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის გზას. ამგვარად შექმნილ მშვიდობის ვითარებაში შესაძლებელი გახდება გამოინახოს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტა მოლაპარაკებისა და შერიგების მეთოდებით“.

აღიარებულ იქნა, რომ არის საერთო საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების ნიშნები. ამასთან ერთად ვრცელ რაიონებში მდგომარეობა ჩრდილს ჰფენს საერთაშორისო ურთიერთობას. ჯერ კიდევ რჩება შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის მიზეზები. შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა რაიონებში ბევრ გართულებას საფუძვლად უდევს განუწყვეტელი უარი იმაზე, რომ დაშვებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, სსრ კავშირი და ინდოეთი „გულწრფელად იმედოვნებენ, რომ შესაძლებელი იქნება მშვიდობიანი საშუალებებით დაკმაყოფილდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები ტაივანის მიმართ... მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი განმტკიცდება“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ განსაკუთრებით განიხილეს მდგომარეობა ინდოჩინეთში. მათ მოუწოდეს ყველა მთავრობას, რომლებზეც დამოკიდებულია ჟენევის შეთანხმებათა პირობების განხორციელება, გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი მათ ვალდებულებათა შესასრულებლად, რათა შესაძლებელი იქნას შეთანხმებათა მიზნების მთლიანად მიღწევა.

განიარაღების პრობლემა დიდად ეხება მთელი მსოფლიოს ხალხებს. ომისა და მშვიდობის საკითხში იგი ყველაზე გადაუდებელია. აი ამიტომ მივიდნენ საბჭოთა კავშირი და ინდოეთი უცილობელ დასკვნამდე, რომ არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოების, გამოცდისა და გამოყენების სრული აკრძალვის შემოღებას. ამასთან ერთად მათ მიაჩნიათ, რომ უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების ერთდროისი და მნიშვნელოვანი შემცირება და უნდა დამყარდეს და დაცულ იქნას ქმედითი საერთაშორისო კონტროლი ასეთი განიარაღებისა და აკრძალვის განსახორციელებლად.

საბჭოთა წინადადებებმა განიარაღების საკითხებზე, როგორც ცნობილია, მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურება ჰპოვეს. ამ წინადადებებს შეხვდნენ როგორც არსებით წვლილს მშვიდობის საქმეში. ჯ. ნერუმ თავის სიტყვაში 21 ივნისის მიტინგზე მოსკოვში შემდეგნაირად შეაფასა საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი: „მე მსურს მივულოცო საბჭოთა კავშირის მთავრობას ამ ბოლო დროს მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა გამო, რომლებმაც შეანელეს საერთაშორისო დაძაბულობა და რომლებიც წვლილია მშვიდობის საქმეში. კერძოდ, მე მწამს, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებებს განიარაღების შესახებ მოჰყვება პროგრესი ამ რთული პრობლემის გადაჭრის გზაზე. განიარაღება აუცილებელია, თუ სურთ აღმოფხვრან შიში და უზრუნველყონ მშვიდობა“.

მშვიდობიანი თანაარსებობა ფართო ასპარეზს ქმნის ხალხთა კულტურული, ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა. სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის უკვე მიღწეულია თანამშრომლობის შესამჩნევი განვითარება კულტურულ და ეკონომიურ დარგში. ასეთი თანამშრომლობის დადასტურებაა ამასწინანდელი შეთანხმება საბჭოთა მთავრობის დახმარებით ინდოეთში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ.

ითვალისწინებენ რა ასეთი თანამშრომლობის ურთიერთ სარგებლობას, საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა საჭიროდ მიიჩნიეს კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი ურთიერთობა როგორც ეკონომიურ და კულტურულ დარგში, ისე მეცნიერული და ტექნიკური კვლევის დარგშიც.

ეჭვი არ არის, რომ ჯ. ნერუს ჩამოსვლა სსრ კავშირში, ახლო ურთიერთობა საბჭოთა ხალხთან და პირადი კონტაქტის დამყარება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა ხალხი გულწრფელად უსურვებს ინდოელ ხალხს ბედნიერებას, კეთილდღეობას, მისი ეროვნული დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ!

„პრავდის“ 23-VI მოწინავე.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი განცხადება

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით ინდოეთის პრემიერ-მინისტრი შრი ჯავაჰარლალ ნერუ ესტუმრა საბჭოთა კავშირს. მოსკოვში ყოფნის დროს მას რამდენიმე საუბარი ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ბულგანინთან და საბჭოთა მთავრობის სხვა წევრებთან. ეს საუბრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში და მოიცავდა იმ საკითხების ფართო წრეს, რომლებიც ურთიერთ საინტერესოა ორივე ქვეყნისათვის, აგრეთვე საერთაშორისო ხასიათის დიდ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობენ ახლანდელი საერთაშორისო ვითარებიდან.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა ბედნიერად ემყარება მეგობრობისა და ურთიერთგაგების მტკიცე საფუძველს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი დარწმუნებული არიან, რომ ამ ურთიერთობაში საჭიროა კვლავ იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

(1) ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა;

(2) თავდაუსხმელობა;

(3) ეკონომიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მოტივებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;

(4) თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა და

(5) მშვიდობიანი თანაარსებობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი დარწმუნებული არიან, რომ ეს პრინციპები, რომლებიც ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობენ, შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო ფართო მასშტაბით და რომ სახელმწიფოთა მიერ ამ პრინციპების დაცვა მათს ურთიერთობაში იმის მთავარი იმედია, რომ აღმოფხვრან ხალხების შეგნებიდან შიში და უნდობლობა და ამრიგად შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა. ამ პრინციპების უფრო ფართოდ აღიარება გააფართოებს მშვიდობის სფეროს, ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთნდობის დამყარებას და დასახავს უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის გზას. ამგვარად შექმნილ მშვიდობის ვითარებაში შესაძლებელი გახდება გამოინახოს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტა მოლაპარაკებისა და შერიგების მეთოდებით.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი აღიარებენ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში პატარა და სუსტი სახელმწიფოები განიცდიან ბუნდოვან და შესაძლოა დაუსაბუთებელ შიშს დიდი სახელმწიფოების წინაშე. მათ მიაჩნიათ, რომ ეს შიში საჭიროა გაქარწყლდეს ყველა შესაძლო საშუალებით. და ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა თანაარსებობის ზემოაღნიშნული პრინციპების განუხრელი დაცვა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი მიესალმებიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის შედეგებს, რომელიც ბანდუნგში გაიმართა მიმდინარე წლის აპრილში. ამ კონფერენციას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იყო პირველი თავისებური კონფერენცია, რომელზეც ერთმანეთს შეხვდნენ ორი კონტინენტის სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემების მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოები და საერთო მიზნად დაისახეს გამოენახათ გზები და საშუალებანი უფრო სრული ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის მისაღწევად. კონფერენციის შედეგები ყურადღების ღირსია და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო მონაწილე ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვისაც.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს სურთ, კერძოდ, გამოთქვან თავიანთი კმაყოფილება იმით, რომ კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეპცია.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი აღიარებენ, რომ არის საერთო საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების ნიშნები. კერძოდ, ისინი მიესალმებიან შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელებას, ავსტრიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ატომის ხანაში ომის საშიშროების უფრო გარკვეულ და საყოველთაო შეგნებას, რომელიც ყველგან შესამჩნევი ხდება. მიუხედავად ამისა, ვრცელ რაიონებში შიში და ეჭვი სჭარბობს ცალკეული ადამიანებისა და მთელი ხალხების შეგნებაში, რაც ჩრდილს ჰფენს საერთაშორისო ურთიერთობას. თუმცა შორეულ აღმოსავლეთში შენელდა დაძაბულობა, მაგრამ მისი მიზეზები ჯერ კიდევ რჩება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი გულწრფელად იმედოვნებენ, რომ შესაძლებელი იქნება მშვიდობიანი საშუალებებით დაკმაყოფილდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები ტაივანის მიმართ. ამავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი კვლავ ადასტურებენ თავიანთ რწმენას, რომ განუწყვეტელი უარი იმაზე, რომ დაშვებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაერთიანებულ ერებში, საფუძვლად უდევს ბევრ გართულებას შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა რაიონებში. მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი განმტკიცდება. მათ აგრეთვე საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ყველა სახელმწიფო, რომელიც აკმაყოფილებს წესდების დებულებებს წევრობის შესახებ, მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირმა, რომლის წარმომადგენელი ერთ-ერთი თავმჯდომარეა ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარიდან, და ინდოეთმა, რომლის წარმომადგენლები ინდოჩინეთში სამივე საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარეები არიან, იკისრეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმებანი წარმოადგენენ იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მოლაპარაკების მეთოდი საერთაშორისო კონფლიქტების გადასაჭრელად; და ამ შეთანხმებათა პრაქტიკულ განხორციელებაში მიღწეულ წარმატებათა დონე განხილულ უნდა იქნას მოლაპარაკების მეთოდის — როგორც საერთაშორისო უთანხმოებათა გადაჭრის საშუალების მნიშვნელობის საზომად. ამიტომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით განიხილეს მდგომარეობა ინდოჩინეთში. მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში სერიოზული ხასიათი ჰქონდა, შეთანხმებათა განხორციელება მთლიანად დღემდე დამაკმაყოფილებელი იყო.

შეთანხმებათა შემდგომ შესრულებას ამჟამად დარღვევის ერთგვარი საფრთხე ემუქრება ახალ და მოულოდნელ ამბებთან დაკავშირებით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს სურთ მოუწოდონ ყველა მთავრობას, რომლებზეც დამოკიდებულია შეთანხმებათა პირობების შესრულება, გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი მათ ვალდებულებათა შესასრულებლად, რათა შესაძლებელი იქნას შეთანხმებათა მიზნების მთლიანად მიღწევა. კერძოდ, ისინი განსაკუთრებული სიმტკიცით მოუწოდებენ, რომ იქ, სადაც პოლიტიკური მოწესრიგების წინაპირობად უნდა მოეწყოს არჩევნები, დაინტერესებულ მთავრობათა მეცადინეობა მოხმარდეს შეთანხმების პირობების მთლიანად განხორციელებას.

იმ საერთაშორისო პრობლემათა შორის, რომლებიც დიდად ეხება ხალხებს, ყველაზე გადაუდებელი და ომისა და მშვიდობის საკითხში სერიოზული შედეგების შემცველია განიარაღების პრობლემა. როგორც ჩვეულებრივი ტიპის, ისე ატომური შეიარაღების ზრდის ტენდენციამ გააძლიერა არსებული შიში და ეჭვი ხალხთა შორის და ეროვნული რესურსები ჩამოაშორა მათს ბუნებრივ დანიშნულებას, სახელდობრ, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის აზრით არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოების, გამოცდისა და გამოყენების სრული აკრძალვის შემოღებას. ამასთან ერთად მათ მიაჩნიათ, რომ უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების ერთდროისი და მნიშვნელოვანი შემცირება და უნდა დამყარდეს და დაცულ იქნას ქმედითი საერთაშორისო კონტროლი ასეთი განიარაღებისა და აკრძალვის განხორციელებისადმი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წინადადებანი განიარაღების საკითხებზე მიღებულ იქნა როგორც არსებითი წვლილი მშვიდობის საქმეში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს მიაჩნიათ, რომ ამ განცხადებაში მოყვანილი ხუთი პრინციპის მიხედვით იქმნება საქმიანობის ფართო ასპარეზი მათი ორი სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის. იმ ფაქტმა, რომ თვითეული ქვეყანა იცავს მისი საკუთარი გენიით, ტრადიციებითა და გარემო ვითარებით შექმნილ სისტემას, ხელი არ უნდა შეუშალოს ასეთ თანამშრომლობას. მართლაც, ჭეშმარიტი თანაარსებობის საფუძველი, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს ღრმად სწამთ, ის არის, რომ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებს შეუძლიათ იარსებონ ერთიმეორის გვერდით მშვიდობითა და თანხმობით და იმუშაონ საერთო კეთილდღეობისათვის.

უკვე მიღწეულია ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესამჩნევი განვითარება კულტურულ და ეკონომიურ დარგში, რასაც ხელი შეუწყო ამ ცოტა ხნის წინათ დადებულმა სავაჭრო შეთანხმებამ. ამასწინანდელი შეთანხმება საბჭოთა მთავრობის დახმარებით ინდოეთში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ ასეთი თანამშრომლობის დამახასიათებელი მაგალითია. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, ითვალისწინებენ რა ასეთი თანამშრომლობის ურთიერთსარგებლობას, კვლავაც ეცდებიან განავითარონ და განამტკიცონ მათი ორი ქვეყნის ურთიერთობა ეკონომიურ და კულტურულ დარგში და მეცნიერული და ტექნიკური კვლევის დარგში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ პირადად განეხილათ და გაეცვალათ შეხედულებანი იმ საკითხებზე, რომლებიც მათთვის ურთიერთ ინტერესს წარმოადგენს, და დარწმუნებული არიან, რომ მათი მოლაპარაკების შედეგები და დამყარებული მეგობრული კონტაქტი ხელს შეუწყობს მათი ორი ქვეყნის და მათი ხალხების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებს.

1955 წლის 22 ივნისი. ქ. მოსკოვი.

**ნ. ბულგანინი**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**ჯავაჰარლალ ნერუ**
ინდოეთის პრემიერ-მინისტრი

# ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ დარბაზობა მოაწყო

საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ 22 ივნისს დარბაზობა მოაწყო.

დარბაზობაზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ს. თ. ანტონოვი, პ. ი. ანტროპოვი, ვ. გ. ბაკაევი, ი. ა. ბენედიქტოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ფ. დ. ვარაკსინი, პ. ნ. გორემიკინი, კ. პ. გორშენინი, პ. ვ. დემენტიევი, ნ. ა. დიგაი, მ. ა. ევსეენკო, ვ. გ. ჟავორონკოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. ნ. ზადემიდკო, ა. ა. იშკოვი, ი. გ. კაბანოვი, ვ. დ. კალმიკოვი, მ. დ. კოვრიგინა, ე. ფ. კოჟევნიკოვი, ლ. რ. კორნიეცი, ა. ი. კოსტოუსოვი, ი. ა. ლიხაჩევი, პ. ფ. ლომაკო, ნ. ა. მიხაილოვი, ე. ს. ნოვოსელოვი, ი. ი. ნოსენკო, გ. მ. ორლოვი, დ. ვ. პავლოვი, პ. ი. პარშინი, ნ. დ. პსურცევი, ნ. ს. რიჟოვი, ი. ტ. სკიდანენკო, ს. მ. ტიხომიროვი, დ. ფ. უსტინოვი, ზ. ა. შაშკოვი, ა. გ. შერემეტიევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი და ვ. ა. ფოკინი, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ვ. ნ. სტაროვსკი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზორინი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ს. კემენოვი, მ. რ. კუზმინი, პ. ნ. კუმიკინი, ი. ფ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ფ. ჟავორონკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს. გერაშჩენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები მ. ვ. ზიმიანინი, ლ. ფ. ილიჩევი, ს. პ. კოზირევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გ. კარპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პოლიანსკი, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ინდოეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საელჩოს თანამშრომლები, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი ინდირა განდი, სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ინდოელი ჟურნალისტების დელეგაციის წევრები.

დარბაზობაზე იყვნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: შვეციისა — რ. რ. სულმანი, ბირმის კავშირისა — მონგ ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, ბელგიისა — ა. ჟ. უოტერსი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნგუენ ლონგ ბანგი, საფრანგეთისა — ლ. ჟოქსი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. ლევიკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ი. ვოშაგლიკი, არგენტინისა — ლ. ბრავო, ნიდერლანდისა — ე. ტეიკსეირა დე მატოსი, ავსტრიისა — ნ. ბიშოფი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — დ. ვიდიჩი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — რ. აპელტი, დიდი ბრიტანეთისა — სერ უ. ჰეიტერი, საბერძნეთისა — ა. დ. კონტუმასი, მექსიკისა — ა. როზენცვეიგ დიასი, კანადისა — ჯ. ბ. კ. უოტკინსი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ტ. ლუკანოვი, ნორვეგიისა — ე. ბროდლანდი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. რაბი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ფ. მიუნიხი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაო, ისრაელის სახელმწიფოსი — ი. ავიდარი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: ლუქსემბურგისა — რ. ბლუმი, ეთიოპიისა — გ. ზალაკა, ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრა, შვეიცარიისა — ე. დე ჰალერი, ისლანდიისა — პ. ტორსტეინსონი, სირიისა — ფ. ჰანი, ლიბანისა — ა. ნაკარი, დანიისა — ა. მერკი; დროებითი საქმეთა რწმუნებულები: ირანისა — ა. ეთესამი, პაკისტანისა — მ. აჰმადი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლ. ტოიბო, ეგვიპტისა — ნ. ა. ჰ. კედრი, ფინეთისა — ი. ჰალამა, ამერიკის შეერთებული შტატებისა — უ. ნ. უოლმსლი, თურქეთისა — დ. ტუნალიგილი.

დარბაზობის დროს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციამ ჯავაჰარლალ ნერუს გადასცა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის დიპლომი. დიპლომის გადაცემისას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა გ. დ. ვოვჩენკომ და ჯ. ნერუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს

(საკდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად

22 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა სსრ კავშირში მყოფი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი.

სადილზე აგრეთვე იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი მეუღლით, საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული, საელჩოს სამხედრო ატაშე დ. ლ. ნანავატი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი და მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ა. ბენედიქტოვი, გ. კ. ჟუკოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოვრიგინა, ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, ადმირალი ნ. ე. ბასისტი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ნ. პ. ცვიჩკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილის დროს ორივე მხრივ წარმოთქმულ იქნა სიტყვები.

სადილმა დიდი გულთბილობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

# მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

23 ივნისს დილით, საბჭოთა კავშირში თექვსმეტ დღეს ყოფნის შემდეგ, მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

საბჭოთა კავშირში ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნა გადაიქცა გულწრფელი სიმპათიისა და მხურვალე მეგობრობის გრძნობათა დემონსტრაციად, რომლებითაც საბჭოთა კავშირის ხალხები დაკავშირებული არიან ინდოეთის ხალხებთან, რომელნიც ესწრაფვიან თავიანთი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და საყოველთაო მშვიდობას.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ჯავაჰარლალ ნერუმ გაიარა 13 ათასამდე კილომეტრი. იგი იყო სტალინგრადში, ყირიმში, საქართველოში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ალმა-ატაში, ალტაის მხარეში, მაგნიტოგორსკში, სვერდლოვსკში, ლენინგრადში, შეხვდა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს. საბჭოთა ადამიანები ყველგან გულითადად იღებდნენ ჯავაჰარლალ ნერუს, იჩენდნენ სიყვარულისა და მეგობრობის მხურვალე გრძნობებს.

განსაკუთრებით მომხიბვლელი გულითადობით გააცილეს ჯ. ნერუ 23 ივნისს მოსკოვის მცხოვრებლებმა. ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მთელ გზაზე მისი რეზიდენციიდან ცენტრალურ აეროდრომამდე მას სიყვარულით მიესალმებოდა ასეულ ათასობით მოსკოველი, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი დილა იყო, გამოვიდნენ დედაქალაქის ქუჩებში. ყველგან ყვავილების თაიგულებია, ყველას სახეზე ეხატება სიყვარული, გაისმის „ვაშას" შეძახილები. ინდოელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების სიყვარულისა და მეგობრობის მხურვალე გრძნობა, რასაც ჯ. ნერუ ხვდებოდა ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს, კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა ამ დაუვიწყარ დღეს. მოსკოვის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები — ყველანი, ვინც კი იყო დედაქალაქის ქუჩებში, — ცდილობდნენ სალამი და საუკეთესო სურვილები გადაეცათ ინდოეთის რესპუბლიკის ხალხისათვის და მისი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ჯავაჰარლალ ნერუსათვის. მანქანებს, რომლებითაც აეროდრომზე მიდიოდნენ ნ. ა. ბულგანინი და ჯ. ნერუ და მათი თანმხლები პირნი, მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ ქუჩებში. ჯ. ნერუ გულითადად უქნევს ხელს იმათ, ვინც მას მიაცილებს.

... ცენტრალური აეროდრომი მორთულია ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

ჯავაჰარლალ ნერუს გასაცილებლად მოვიდნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, გ. ქ. ჟუკოვი, მ. დ. კოვრიგინა, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, პ. ი. პარშინი, დ. ი. რაიზერი, ნ. ს. რიჟოვი, ა. გ. შერემეტიევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარევი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზორინი, პ. ს. კუჩუმოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ე. ი. აფანასენკო, ი. ტ. მარჩენკო, ე. ა. ფურცევა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოადგილე პოლკოვნიკი ა. ტ. ვერეშჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე გამცილებელთა შორის არიან ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები, მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

საპატიო ყარაულის უფროსი ეგებება და პატაკს აძლევს ჯავაჰარლალ ნერუს. ორკესტრი ასრულებს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს.

ნ. ა. ბულგანინი მიდის მიკროფონთან და ამბობს შემდეგ სიტყვას:

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მეგობრებო!

ბატონებო!

ვაცილებთ რა დღეს ჩვენს სტუმრებს, მინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა დიდი კმაყოფილება, რომელიც მოგვანიჭა საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუს და მისი თანამგზავრების ჩამოსვლამ.

საბჭოთა კავშირში თავისი ხანმოკლე მგზავრობის დროს ბატონ ნერუს უეჭველია შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო მეგობრობისა და კეთილი განწყობილების გულთბილ და გულწრფელ გრძნობაში, რომლითაც გამსჭვალული არიან საბჭოთა ადამიანები დიდი ინდოელი ხალხისადმი. ბატონ ნერუს შესაძლებლობა ჰქონდა აგრეთვე უფრო ახლო გასცნობოდა ჩვენს ხალხს, მის ინტერესებსა და მისწრაფებებს, მისი მშვიდობიანი შრომის შედეგებს, მის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და მის კულტურას. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის გაცნობა ჩვენს ქვეყანასთან და მის ხალხთან ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების უკეთესი ურთიერთგაგების დამყარებას, რაც ჩვენი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საწინდარია.

ურთიერთგაგების დამყარებას ცოტათი როდი შეუწყო ხელი აგრეთვე პირადმა კონტაქტმა და ბატონ ნერუს საუბრებმა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან. ამ საუბრების შედეგი იყო ერთობლივი განცხადება, რომელიც დღეს გამოქვეყნდა პრესაში. გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ეს განცხადება მტკიცე საფუძველი იქნება ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითი, იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა გვესმოდეს და ვახორციელებდეთ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას.

მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ პირადი კონტაქტი, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრს შორის, კვლავაც გაგრძელდება. ამასთან დაკავშირებით მინდა საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ბატონ ნერუს ჩემი მიწვევისათვის ინდოეთში. მე სიამოვნებით ვიღებ ამ მიწვევას და ვისარგებლებ მით ჩვენი დიდი ხალხების საკეთილდღეოდ.

გაცილებთ რა შორეულ გზაში, მინდა გისურვოთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს თანამგზავრებს წარმატებით მოგზაურობა და მშვიდობით დაბრუნება თქვენს შესანიშნავ სამშობლოში.

გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით გადასცეთ ჩვენი მხურვალე სალამი და კეთილი სურვილები დიდ ინდოელ ხალხს.

ნახვამდის, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

გზა მშვიდობისა, ბატონებო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ.

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჯავაჰარლალ ნერუმ.

## ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ! მეგობრებო!

თექვსმეტი დღის წინათ ჩვენ აქ ჩამოვედით, ახლა კი მივემგზავრებით. ზოგჯერ მგონია, თითქოს ეს არის ჩამოვედით, ხოლო ზოგჯერ — თითქოს ძალიან დიდი ხანია აქა ვართ, იმიტომ, რომ ამ თექვსმეტ დღეში ამდენი რამ ვნახეთ, ამდენი შთაბეჭდილება მივიღეთ, ამდენი სასიამოვნო შეხვედრა გვქონდა.

ვფიქრობ, რომ აქედან მივემგზავრები ერთსა და იმავე დროს უფრო მდიდარიც და უფრო ღარიბიც, ვიდრე ჩამოვედი. ვფიქრობ, აქედან უფრო მდიდარი მივემგზავრები იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მშვენიერი მოგონება მექნება ჩვენი მეგობრობისა და იმ მიღების შესახებ, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ. აქედან უფრო ღარიბი მივდივარ იმიტომ, რომ აქ ვტოვებ ჩემს გულს. უფრო სწორად, ეს გაღარიბება კი არ არის, ესეც ცოტათი გამდიდრებაა.

ჩემთვის ძნელია ვილაპარაკო საბჭოთა კავშირში თექვსმეტი დღის ყოფნის შთაბეჭდილებებზე. ამის მოყოლას ძალიან დიდი დრო უნდა. ეს მუდამ მეხსომება არა მარტო მე, არამედ ეხსომება ინდოეთის ხალხსაც. ჩემთვის მუდამ ძვირფასი იქნება იმ სიყვარულისა და იმ სტუმართმოყვარეობის გახსენება, რაც მე აქ გამიწიეს. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი იქნება ის მეგობრული შეხვედრები, რომლებმაც დაგვანახვეს, თუ რამდენად დავუახლოვდით ერთმანეთს. სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ჩემი მადლობა და ყოველივე ის, რაც გულში მაქვს.

თქვენ ილაპარაკეთ ჩვენს ერთობლივ განცხადებაზე, რომელსაც გუშინ მოვაწერეთ ხელი. იგი წარმოადგენს ჩვენი მეგობრობისა და ჩვენი ურთიერთობის სიმბოლოს, ჩვენი მომავალი თანამშრომლობის საწინდარს. რა თქმა უნდა, ეს სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნებისათვის, და მე ვფიქრობ, აგრეთვე სხვა ქვეყნებისთვისაც, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის. ჩვენ გვსურს, რომ ყველა ქვეყანა მეგობრულად ცხოვრობდეს, რომ არ იყოს მტრობა, და ჩვენ ინდოეთში ამას ვესწრაფვით. ჩვენთვის სასიამოვნოა, როცა ზოგჯერ ეს ჩვენი მისწრაფებები წარმატებით მთავრდება.

ერთხელ კიდევ მინდა გადაგიხადოთ მადლობა. მე ბევრი მოგონება დამრჩება, მაგრამ ყველაზე უკანასკნელი ჩემი დიდი შთაბეჭდილებაა ის სურათი, რომელიც დღეს დილით ვნახე, როცა აეროდრომზე მოვდიოდი. ასეულ ათასობით მოსკოველი სალამს მიძღვნიდა. მათი ღიმილი, მათი მხიარული სახეები და ის სიყვარული, რომელსაც მათს თვალებში ვხედავდი, მუდამ ჩემთან იქნება. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მადლობა, ჩემი სიყვარული თქვენს ხალხს.

ნახვამდის!

* * *

სიტყვა „ნახვამდის!" ჯ. ნერუმ რუსულად წარმოთქვა.

ჯ. ნერუ ემშვიდობება აეროდრომზე მყოფ მინისტრებს და საზოგადო მოღვაწეებს, დიპლომატიური კორპუსის წევრებს, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს.

პიონერებმა პრემიერ-მინისტრსა და მის თანმხლებ პირებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. პიონერები ჰინდი ენაზე მღერიან „წვიმის სიმღერას".

ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი მარშის ხმაზე ადიან თვითმფრინავში. ჯავაჰარლალ ნერუ ხელის ქნევით მიესალმება გამცილებლებს.

9 საათი და 38 წუთია. თვითმფრინავი წყდება მიწას და მიფრინავს.

ვარშავამდე ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს აცილებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კ. პ. შ. მენონი. (საკდესი).

# ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გაემგზავრა სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

### პრეზიდენტ ხო ში მინის განცხადება

ხანოი, 22 ივნისი. (საკდესი), როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დღეს ხანოიდან საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამ ორი ქვეყნის მთავრობათა მიწვევით გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

დელეგაციის წევრებს შორის არიან ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი, აგრეთვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ნგუენ დუი ტრინი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ფან ანი, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრი ნგუენ ქსიუან იემი, ფინანსთა მინისტრი ლე ვან ხიენი, განათლების მინისტრი ნგუენ ვან ქსიუენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნგ ვან ქხემი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხაჩი.

გამგზავრების წინ პრეზიდენტმა ხო ში მინმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

ძვირფასო თანამემამულენო!

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩვენი მეგობრები არიან.

დღეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიწვევით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ვიეტნამის მშრომელთა პარტია დელეგაციას გზავნიან საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მე ბედნიერი ვარ ვმეთაურობდე ამ დელეგაციას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გამგზავრებას მოჰყვება ვიეტნამელ ხალხსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ორი მოძმე ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს შორის ძმური სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება.

# ჩინეთში ჩავიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია

პეკინი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს ნანინს ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი. დელეგაციის შესახვედრად ვაგზალში და ახლომახლო ქუჩებში შეიკრიბა ქალაქის 10 ათასამდე მცხოვრები. ხო ში მინმა სიტყვა წარმოთქვა შეკრებილთა წინაშე და რწმენა გამოთქვა, რომ ვიეტნამელი და ჩინელი ხალხების მეგობრობა განვითარდება და განმტკიცდება.

# მეტი ყურადღება მეტალურგიული წარმოების ავტომატიზაციას

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა საწარმოთა წარმატებით მუშაობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნია კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვა.

ცნობილია, რომ მექანიზმების კომპლექსის ავტომატურ მართვაზე გადაყვანას ტექნოლოგიურ პროცესში მეტი სიზუსტე შეაქვს, გამორიცხავს მექანიზმების უქმ მუშაობას და ამით ამცირებს ელექტროენერგიისა და დამხმარე მასალების უნაყოფოდ ხარჯვას. ამასთან ავტომატიზაცია ახანგრძლივებს მექანიზმების ამორტიზაციის ვადას, ზრდის მათს გამძლეობას და მნიშვნელოვნად აადვილებს რთულ დანადგართა მომსახურე პერსონალის შრომას.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, განსაკუთრებით ქარხნის საგლინავ საამქროებში, ავტომატიზაციის კომპლექსურად დანერგვის დიდი პერსპექტივაა. წელს დგან 400-ზე მოაწყეს მილნამზადის ავტომატურად მიწოდება საწყობიდან რგოლურ ღუმელამდე და გამომტვირთავი მანქანიდან გამჭოლ დგანამდე. ავტომატურად მუშაობს გამჭოლი და მილის ზედაპირგამსწორებელი დგანი. ავტომატურადვე ხდება გაგლინული მილების გამაგრილებელ მაგიდაზე განლაგება და მისი ტრანსპორტირება. დასახელებულ უბნებზე სამუშაო პროცესთა ავტომატიზაციის შედეგად გათავისუფლდა ერთი ოპერატორი, ხოლო 4 ოპერატორი რთული ოპერაციების უშუალოდ შესრულებიდან სამუშაო პროცესთა მეთვალყურედ გადაიქცა; ინტენსიური მუშაობისას ოპერატორების მიერ შეცდომის დაშვების შესაძლებლობა ავტომატიზებულ მექანიზმებში სრულიად აღიკვეთა; თავიდან იქნა აცილებული დანადგართა მოსალოდნელი შეფერხებები და მექანიზმების უქმი მუშაობის ლიკვიდაციით მილმგლინავებმა ელექტროენერგიის დიდ ეკონომიას მიაღწიეს.

წარმოებაში ავტომატიზაციის დანერგვას არასაკმაო ყურადღება ექცევა ამავე საამქროს დგან 140-ზე. აქ ავტომატურად მხოლოდ ერთი უბანი — მილების გამსწორებელი დგანები მუშაობენ, მაშინ როცა დგან 400-ის ანალოგიური უბნები ავტომატიზებულია.

ავტომატიზაცია უფრო ნელი ტემპით ინერგება მილნამზადის საამქროში. საამქროს სამართავ ვახტებზე მართვის აპარატურის რაციონალური განლაგების შედეგად შეიძლება ავტომატურად მოეწყოს ბლუმინგის საამქროდან ბლუმსების მიწოდება, ასევე შეიძლება მოეწყოს მილნამზადის გადაზიდვა კონვეიერის მთავარი ხაზიდან ელექტროხერხების ხაზზე და ბლუმსების ჩატვირთვა მეთოდურ ღუმელებში. მარტო ორი უბნის ავტომატიზაციის მიღწევით საამქროში 15 ოპერატორის განთავისუფლება იქნება შესაძლებელი.

ავტომატიზაციის დანერგვის დარგში კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბლუმინგისა და წვრილსორტულ საამქროებში.

მარტენის საამქროში ღუმელებზე გაუმართავია ტემპერატურის რეჟიმის მარეგულირებელი ავტომატური მოწყობილობა, საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და წნევის მარეგულირებელი მოწყობილობა. ამ მიზეზით მცირდება ღუმელების წარმადობა და, გარდა ამისა, უარესდება პროდუქციის ხარისხი.

მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებმა ეს მდგომარეობა მოკლე დროში უნდა გამოასწორონ და კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გაბედულად დანერგვით მოამზადონ მყარი საფუძველი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დელეგაციამ, რომელიც გაგზავნილი იყო მოძმე უკრაინის მეტალურგიულ საწარმოებში, გააფორმა სოციალისტური შეჯიბრება სტალინოს მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან და ამას წინათ დაბრუნდა რუსთავში. სურათზე: საბრძმედე საამქროს ოსტატი მ. გორდაშვილი ესაუბრება ქ. სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეებს.

# ჯავაჰარლალ ნერუ — მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი

21 ივნისს გაიმართა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წინადადება, რომ ინდოეთის რესპუბლიკის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ჯავაჰარლალ ნერუს მიენიჭოს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის ხარისხი.

დაასაბუთა რა შეტანილი წინადადება, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ა. გ. ლაშინმა თქვა:

— ჩვენ ბ-ნ ნერუს, ჩვენს კოლეგას განათლებით და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებით, ვიცნობთ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ მონაწილეს, ინდოეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, როგორც დიდი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელს.

არის რა ამავე დროს ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბ-ნი ჯავაჰარლალ ნერუ მუდამ იცავდა და იცავს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, იბრძოდა და იბრძვის დიდი და პატარა სახელმწიფოების სუვერენულ უფლებათა აღიარებისათვის, აზიასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

მეცნიერ იურისტთა წინადადებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი და სხდომის დამსწრე მეცნიერნი. იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ნ. დ. კაზანცევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა იურისტები დიდი ყურადღებით და ინტერესით სწავლობენ ინდოელი ხალხის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას და იცნობენ ბ-ნ ნერუს როლს ინდოეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ახალი ინდოეთის შექმნისათვის ბრძოლაში. საბჭოთა იურისტები კარგად იცნობენ ჯავაჰარლალ ნერუს მეცნიერულ შრომებს.

შეტანილ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი აგრეთვე ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა, უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა გ. დ. ვოვჩენკომ.

სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაადგინა: მიენიჭოს ჯავაჰარლალ ნერუს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. (საკდესი).

# ჯავაჰარლალ ნერუ ვარშავას ჩავიდა

ვარშავა, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით ვარშავას ჩამოვიდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ნერუ და მისი თანმხლებნი—ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კ. პ. შ. მენონი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, მოსკოვიდან ვარშავამდე ჯავაჰარლალ ნერუ გააცილა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა.

ცენტრალურ აეროდრომ „ოკენჩზე" ვარშავაში ჯავაჰარლალ ნერუს შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბერუტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ხ. მინცი, ზ. ნოვაკი, ფ. იუჟვიაკი, ფ. მაზური, რ. ზამბროვსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ს. ენდრიხოვსკი, ტ. გედე, პ. იაროშევიჩი, ს. ლაპოტი, მინისტრები, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლონეთის ჯარის გენერლები, პოლონეთის დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციები, პოლონეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ჯ. ნერუს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, მთელი რიგი სახელმწიფოების საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

აეროდრომი მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ინდოეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე ჯ. ნერუმ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

აეროდრომიდან გზაში ვარშავის ათასობით მშრომელი, რომლებიც ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ, მიესალმებოდნენ ჯ. ნერუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს საიუბილეო სესიაზე 1955 წლის 22 ივნისს

პატივცემულო თავმჯდომარევ!

პატივცემულო დელეგატებო!

უწინარეს ყოვლისა მე მსურს საბჭოთა კავშირის დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ქალაქ სან-ფრანცისკოს მერს ზ-ნ რობინსონს სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მან ამ შესანიშნავ ქალაქში გაგვიწია.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ და ვდღესასწაულობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მეათე წლისთავს. ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია.

ამ დღეებში დედამიწის ყველა ნაწილის მილიონობით ადამიანი განსაკუთრებული ყურადღებით მოისმენს იმას, რასაც აქ იტყვიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვლილი პერიოდის მოღვაწეობის გამო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეორე მსოფლიო ომის წლებში შეიქმნა. მას ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა საომარი მოქმედება გრძელდებოდა ევროპის ზევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, აზიის ვრცელ ტერიტორიაზე, ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებში, როცა კაცობრიობის მეტი ნაწილი თავისი სურვილის წინააღმდეგ გახდა მონაწილე ომისა, რომელიც უმაგალითო იყო თავისი მასშტაბებითა და მძიმე შედეგებით. მაშინ შეიქმნა ცნობილი ანტიჰიტლერული კოალიცია საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის მეთაურობით. ეს კოალიცია იმ ხალხთა თავდადებული განმათავისუფლებელი ბრძოლის შთამაგონებელი იყო, რომელთაც თავს დაესხნენ ფაშისტი დამპყრობნი და რომელნიც ძნელ დროებას განიცდიდნენ.

ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებს შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ომის მსვლელობაში. ფაშიზმის მიერ დამონების საფრთხემ ერთმანეთთან დააახლოვა ეს ქვეყნები. მან გააერთიანა ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაქმნელადაც, რათა ომის დამთავრების შემდეგ ერთად დაეცვათ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

ამ ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა „ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციით საყოველთაო უშიშროების საკითხზე", რომელსაც 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა. საქმე დაგვირგვინდა აქ, სან-ფრანცისკოში, სადაც 1945 წლის 26 ივნისს ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას მას შემდეგ, რაც იგი დაწვრილებით და გულმოდგინედ განიხილა გაერთიანებული ერების პირველმა კონფერენციამ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება იწყება სიტყვებით იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „იხსნან მომავალი თაობანი ომის უბედურებათაგან, რომელმაც ჩვენს სიცოცხლეში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას ენით გამოუთქმელი მწუხარება". „იხსნას მომავალი თაობანი ომის უბედურებათაგან" — აი რა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი და უმაღლესი ამოცანა. ხალხებს არა აქვთ უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებაა. გაერთიანებულ ერებს არა აქვთ იმაზე დიდი საქმე, რომ უზრუნველყონ ხალხთა მშვიდობა, მეგობრობა და თანამშრომლობა.

ყველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ეს და შეგნებული ჰქონდეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები აკისრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს არის ჩვენი წმიდა მოვალეობა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თვალი არ გავუსწოროთ ფაქტებს.

გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ ახლა საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვანი დაძაბულობაა, რასაც განუწყვეტლივ აღვივებენ ახალი ომის პროპაგანდით. მით უმეტეს ვერ გავუშვებთ მხედველობიდან, რომ ამ დაძაბულობის შემდგომი გაძლიერება საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნებას, რომ ეს ქმნის ახალი ომის საფრთხეს.

ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთ ქვეყანაში გაჩაღებულია უმაგალითო გამალებული შეიარაღება, რომელიც სამხედრო ხარჯების კოლოსალურ ტვირთს აკისრებს ფართო მასებს. სულ უფრო აგროვებენ ატომურ და წყალბადის იარაღს, რაც კანონიერ შეშფოთებას იწვევს ხალხებში ასეთი მდგომარეობის საშიში შედეგების გამო.

სამხედრო ბაზების დიდი მშენებლობაა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ეს ბაზები რომ თავდაცვითი მიზნით არ შენდება, ჩანს უკვე იქიდან, რომ ისინი მრავალი ათასი კილომეტრით არიან დაშორებული იმ ქვეყნების საზღვრებს, რომლებიც მათ აშენებენ. მაგრამ განა შეიძლება დამშვიდებული იყვნენ იმ სახელმწიფოთა ხალხები, რომელთა სიახლოვესაც იქმნება ეს სამხედრო ბაზები, ან თუნდაც იმ ქვეყნების ხალხები, რომელთა ტერიტორიაზეც შენდება ეს ბაზები?

სულ ახალი სამხედრო ბლოკები და კავშირები იქმნება ევროპაში, აზიაში და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ამ უკანასკნელ ხანს ცდილობენ, რომ ასეთ სამხედრო დაჯგუფებებში ყოველგვარი საშუალებით ჩაითრიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის პატარა ქვეყნები, თუმცა ეს ხდება ამ ქვეყნების ხალხთა სურვილის წინააღმდეგ. ეს სამხედრო კავშირები აშკარად მიმართულია გარკვეულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რაც მოწმობს ამ კავშირების აგრესიულ იმპერიალისტურ ხასიათს. საქმე ისეთ შეთანხმებებამდე მივიდა, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მას შეიყვანენ სამხედრო დაჯგუფებებში, რომელთა აგრესიული მიზანდასახულობა ცნობილია. ასეთი ბლოკები და კავშირები, თავის მხრივ, გარდუვალად იწვევენ თავდაცვითი კავშირების შექმნას მეორე მხარეზე.

თუ ზოგიერთ ქვეყანაში კვლავაც შეუფერხებლად გასწევენ ახალი ომის პროპაგანდას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს სწორედ ატომური ომის საშიშ პროპაგანდად იქცა; თუ კვლავაც გაძლიერდება გამალებული შეიარაღება, აგრეთვე აღნიშნული სამხედრო ბაზების შექმნა, რომლებიც თავდაცვის ინტერესებისათვის კი არ შენდება, არამედ სხვა ქვეყნებზე თავდასასხმელად; თუ ამავე მიზნებით კვლავაც იწარმოებს სამხედრო დაჯგუფებათა შეკოწიწება სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, — საერთაშორისო დაძაბულობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ამ გზით სვლა იმას ნიშნავს, რომ თავაწყვეტით მიდიოდე მესამე მსოფლიო ომისაკენ.

განა შეიძლება ამ დროს უგულებელვყოთ, რომ მსოფლიოს არც ერთ ხალხს არა სურს ახალი ომი, რომ ისინი მკაცრად დაგმობენ თავდამსხმელ მხარეს, ესე იგი იმათ, ვინც ახალ მსოფლიო ომს გააჩაღებს? განა ამაზე არ მეტყველებს მთელი მსოფლიოს ხალხთა მზარდი მოძრაობა — არ დაუშვან ახალი ომი და ბოლომდე იბრძოლონ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ყოველი ცდის წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებისაკენ? ეჭვი არ არის, რომ ასეთ მდგომარეობაში, — აგრეთვე, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები სათანადოდ არიან მომზადებულნი თავდაცვისათვის, — თავდამსხმელ მხარეს, რომელსაც ბრალად დაედება ახალი ომის გაჩაღება, გადაჭრით დაგმობენ როგორც აგრესორს და იგი მორალურად და პოლიტიკურად სავსებით იზოლირებული იქნება მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალში, — ეს კი წინასწარ განსაზღვრავს მის გარდუვალ დამარცხებას.

მეორე მხრივ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ჩვენს დროს საკმაოდ მოიპოვება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ არის შემოწმებული გზები, რომლებსაც მივყავართ მტკიცე მშვიდობისაკენ და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

საჭიროა მოვიხსენიოთ ზოგიერთი ასეთი ფაქტი.

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ინიციატივის მეოხებით კორეაში ომი შეწყდა. კორეაში დაზავებამ შესაძლებელი გახადა, რომ კორეის საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრილიყო. ახლა უნდა დავეხმაროთ სამხრეთისა და ჩრდილოეთის კორეელებს კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საქმეში, როგორც ეს კორეელი ხალხის ნებას შეესაბამება.

შარშან ჟენევის თათბირზე ბოლო მოეღო ომს ინდოჩინეთში იმ საწყისებზე, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ამ რაიონის ხალხთა ეროვნულგანმათავისუფლებელ მისწრაფებებს. ჟენევის შეთანხმების მნიშვნელობა უკვე იქიდან ჩანს, რომ აზიის ხალხებმა მოიწონეს ეს შეთანხმება. ჟენევის შეთანხმება სწორად გაიგეს აგრეთვე ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

დაახლოებით ერთი თვის წინათ დაიდო სახელმწიფო ხელშეკრულება ავსტრიასთან. ამასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ ავსტრია არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა სამხედრო ბაზების შექმნას, არ მიიღებს მონაწილეობას სამხედრო დაჯგუფებებში და გახდება ნეიტრალური ქვეყანა, როგორიც არის შვეიცარია. ინიციატივამ, რომელიც საბჭოთა კავშირმა ამ მხრივ გამოიჩინა, საჭირო მხარდაჭერა ჰპოვა სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მხრივ, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თვითონ ავსტრიის მხრივ. ამის შედეგად მოლაპარაკებას მოჰყვა ევროპაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის მოწესრიგება.

უკანასკნელი დროის უდიდესი მოვლენა იყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის მოწესრიგება, რაც მოხდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის ბელგრადში ყოფნის დროს. ურთიერთობის გაუმჯობესება, რაც მიღწეულია საბჭოთა კავშირიუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგად, შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძლიერ მისწრაფებასა და ძირეულ ინტერესებს. ეს ფაქტი ამასთანავე ბევრად უწყობს ხელს პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას ევროპაში და შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ რა უნიადაგოა მონაჭორი, რომელსაც დასავლეთში მიმართავენ იმისათვის, რომ დაამახინჯონ ბელგრადში გამართული მოლაპარაკების აზრი და შეამცირონ მისი მნიშვნელობა და შედეგები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ მიღწეული შეთანხმება, რომელიც ერთობლივი დეკლარაციით გამოიხატა, განისაზღვრება არა რაიმე წარმავალი მოსაზრებებით, არამედ იმის შეგნებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ურთიერთობას როგორც სსრ კავშირისა და იუგოსლავიისათვის, ისე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის დამყარების საქმისათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს ეწვია ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ნერუ. ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის და ამასთანავე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ის ფაქტები, რომლებიც ეს არის ჩამოვთვალე, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა ფაქტები, მოწმობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები ახორციელებენ, ახალ და ახალ დადებით შედეგებს გვაძლევს.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამავე მიზნებს შეესაბამება საბჭოთა მთავრობის წინადადება — დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან და კანცლერ ადენაუერის მოსკოვში მიწვევა მოლაპარაკებისათვის. აქ უნდა მოგაგონოთ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თავიდანვე დამყარდა კარგი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც სულ უფრო წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

დაიწყო აგრეთვე მოლაპარაკება ლონდონში საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ.

ივლისის მეორე ნახევარში უნდა გაიმართოს ოთხი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი. ამ თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ მისი ყველა მონაწილე ნამდვილად გამოიჩენს მისწრაფებას საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისადმი, მომწიფებული პრობლემების მოწესრიგებისა და მშვიდობის განმტკიცებისადმი.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, უნდა ვაღიაროთ, რომ მან გარკვეული დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ცხოვრებაში და მის საქმიანობას დადებითი მხარეები აქვს. მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემის აქ განხილვამ ხელი შეუწყო იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი დარაზმულიყო ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად და საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1946 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხებზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, რაც მიღებულია 1947 წელს. აგრეთვე ცნობილია, რომ 1954 წელს გენერალურმა ასამბლეამ ერთსულოვნად გამოთქვა აზრი განიარაღების კომისიის ამოცანების საკითხზე.

აღვნიშნავთ რა დადებით მხარეებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ არ შეიძლება შევურიგდეთ არსებულ, სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ყოველ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ უნდა გადაიქცეს არც საერთაშორისო ამბების პასიურ რეგისტრატორად, არც ამა თუ იმ დაჯგუფების იარაღად, რომელიც მას თავისი ვიწრო მიზნებით იყენებს.

ანიჭებს რა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებას ყველასათვის, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობს შემდეგი უმთავრესი პრინციპებით: ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევა; საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა; საერთაშორისო საქმეებში ძალის გამოყენების მუქარისაგან თავის შეკავება. ეს პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ყველა გაერთიანებული ერების მიერ, კარგი საფუძველია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის საბრძოლველად.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეიცავს იმ სახელმწიფოთა თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპის მტკიცედ აღიარებას, რომლებსაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემები აქვთ. აგრეთვე გასაგებია, რომ ასეთ თანაარსებობას ვერ დავაშორებთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცების, „ცივი ომის" შეწყვეტის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის ფართოდ განვითარების ამოცანას.

უფრო მეტიც, არავის არ შეუძლია სადავოდ გახადოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისე, თუ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნები არ აღიარებენ და არ განახორციელებენ თანაარსებობისა და საერთაშორისო საქმეების ერთობლივად გადაჭრის პრინციპს, რაც ესოდენ თვალსაჩინოდ გამოთქმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებში უშიშროების საბჭოს შესახებ.

დავვრჩენია მოგაგონოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩაწერილი წესი, რომ უშიშროების საბჭოში საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას სავალდებულოა ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობა, მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ინიციატივით. მან ეს წინადადება, რომელიც პატივს სდებს მას, პირველად შემოიტანა 1944 წლის 18 ივლისის სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა თათბირისათვის დუმბარტონ-ოქსში.

მაგრამ ისინიც კი, ვინც სიტყვით აღიარებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, ზოგჯერ პრაქტიკაში მისი უხეშად დარღვევის გზით მიდიან.

ეს შეიძლება დავინახოთ ჩინეთის მაგალითით.

დღემდე აღუდგენელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდავო უფლებანი. რითაც უნდა ცდილობდნენ ასეთი არანორმალური მდგომარეობის ახსნას, ჩინეთის უფლებათა ამ დარღვევის ნამდვილი მიზეზი ყველასათვის ცხადია. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთში გაიმარჯვა სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ და დიდი ჩინელი ხალხი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დღემდე ართმევენ უფლებას თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. შექმნილი მდგომარეობის უსამართლობა და უკანონობა აშკარაა. აღარ შეიძლება ამ უკანონობის მოთმენა ისე, რომ ძირი არ გამოეთხაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ნდობას. აღარ უნდა დაყოვნდეს ის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სრული შესაძლებლობა მიეცეს ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები გენერალურ ასამბლეაშიც და უშიშროების საბჭოშიც. სწორი არ იქნებოდა დაგვევიწყნა, რომ საქმე ეხება 600-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანას, რომ დედამიწაზე ყოველ ოთხ ადამიანში ერთი ჩინელია.

არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ იმ საშიშ მდგომარეობას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სანაპირო კუნძულების რაიონში. როგორც კარგად ცნობილია, კუნძულები ტაივანი, პენხულედაო და სანაპირო კუნძულები ჩინეთის ძველისძველი ტერიტორიაა, რაც აღიარებულია აგრეთვე მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ უნდა შეურიგდეს იმას, რომ ჩინეთის ეროვნული ტერიტორიის ეს განუყოფელი ნაწილი დღემდე არ დაუბრუნებიათ ჩინეთისათვის და, თავის მხრივ, უნდა მიიღოს სათანადო ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის უსწრაფესად მოწესრიგებისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ აზიის რამდენიმე ქვეყნის ინიციატივით ბანდუნგში გაიმართა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აზიისა და აფრიკის 29 სახელმწიფომ. იმ ფაქტს, რომ აქ მონაწილეობდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სახელმწიფოები, ხელი არ შეუშლია მათი შეთანხმებული მუშაობისათვის. ბანდუნგის კონფერენციამ ყველა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. ამ გადაწყვეტილებათა მიზანია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ყოველივე ეს შეესაბამება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს კონფერენციაში ისეთი ქვეყნების მონაწილეობის დიდი დადებითი მნიშვნელობა, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია და სხვები. ყველას ახსოვს ამ კონფერენციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის მნიშვნელობა.

ბანდუნგში კვლავ ფართოდ დადასტურდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ამით მოიგეს არა მარტო ამ კონფერენციის მონაწილეებმა, არამედ სხვა ხალხებმაც და მშვიდობის საქმემაც მთლიანად.

რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ სიტყვიერად ვაღიაროთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპი. ჩვენს დროში ამ პრინციპის აშკარად უარყოფას თითქმის ვერავინ ვერ ბედავს. ომის გამჩაღებლებს ახლა პატივს არ სცემენ!

დღეს ჩვენ ყველას გვაინტერესებს არა ამა თუ იმ პრინციპის უბრალოდ აღიარება ან გამოცხადება, არამედ კონკრეტული მოქმედება, რომელიც სამსახურს გაუწევდა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და განმტკიცების საქმეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს დიდი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ცნობილი წინადადებისა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის დამყარების შესახებ. სათანადო საბჭოთა პროექტს მხედველობაში აქვს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ევროპის ყველა ქვეყნისათვის, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა, ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. აქედან ჩანს მისი ძირეული განსხვავება უკანასკნელ წლებში შექმნილი კარჩაკეტული სამხედრო დაჯგუფებებისაგან, რომელთა შექმნა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებებს და იწვევს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ გაძლიერებას.

საბჭოთა მთავრობის ხსენებული წინადადება გამოხატავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის არსს, რომლის მიზანია კოლექტიური უშიშროების შექმნა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკების შექმნის ნაცვლად.

ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე, რომელიც შეტანილია 10 მაისს განიარაღების კომისიაში ლონდონში.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ღონისძიებებით მოხერხდა სისხლისღვრის შეწყვეტა კორეასა და ინდოჩინეთში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელსაყრელია სხვა სადავო საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპისა და აზიის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ვითარება, რომელიც ხალხთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს საჭირო ნდობა სახელმწიფოთა შორის. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობას, რომლებსაც აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიო ეგრეთწოდებული „ცივი ომის" მდგომარეობაშია, ხოლო სახელმწიფოთა საომარი მზადება სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს. მხოლოდ სახელმწიფოთა შორის „ცივი ომის" მდგომარეობის შეწყვეტა შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, საერთაშორისო ურთიერთობაში საჭირო ნდობის შექმნას, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას, ხალხთა მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებისათვის პირობების შექმნას. მაშინ შეიქმნებოდა აგრეთვე საჭირო შესაძლებლობანი განიარაღების ფართო პროგრამის განხორციელებისა და ამ პროგრამის შესრულებისადმი სათანადო საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა სიტყვიდან გადავიდეთ საქმეზე, გადავიდეთ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომლებიც გამოიწვევენ სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის აღდგენას.

აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ შემდეგს: გენერალური ასამბლეის ცნობილი გადაწყვეტილების შესრულებას ყველა ქვეყანაში ომის პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ; დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების მიღწევას სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ; მუშაობის გაჩაღებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის და ფართო საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევას ტექნიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის; სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებულ გადაწყვეტილებას გერმანიის ტერიტორიიდან მათი ჯარების გამოყვანის შესახებ, გარდა დროებით დასატოვებელი მცირე კონტინგენტებისა, და გერმანიის ორივე ნაწილში ადგილობრივი პოლიციის ძალების ზუსტად განსაზღვრული კონტინგენტების დაწესებას; შორეულ აღმოსავლეთში გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგებას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად; ყოველგვარ დისკრიმინაციათა მოსპობას, რომელნიც ხელს უშლიან ფართო ეკონომიური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას; საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის გაფართოებას დელეგაციების ფართოდ გაცვლისა და ტურიზმის განვითარების გზით.

ამ დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაში წინ წაწევით ბევრად გავაადვილებთ სახელმწიფოთა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას. ამით შეიქმნება პირობები შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის სრული აკრძალვის პროგრამის განხორციელებისათვის და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ქმედითი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის.

საბჭოთა კავშირის წინადადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია ეს პროგრამა, ნავარაუდევია სათანადო ღონისძიებათა თანდათან განხორციელებისათვის ორ ეტაპად: პირველი ეტაპი — ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1956 წლის განმავლობაში; მეორე ეტაპი — ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1957 წლის განმავლობაში.

ამ ღონისძიებათა არსი ჩანს შემდეგიდან.

უწინარეს ყოვლისა, ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის 10 მაისის პროექტში სრულიად უცვლელად შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის ყველა წინადადება ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთმა დიდმა სახელმწიფომ იმდენად უნდა შეამციროს ორ წელიწადში თავისი შეიარაღებული ძალების რაოდენობა, რომ ისინი არ აღემატებოდნენ შემდეგ ოდენობას:

| | | | |
|---|---|---|---|
| ამერიკის შეერთებული შტატები | 1.000.000-დან | 1.500.000 | კაცამდე |
| სსრ კავშირი | 1.000.000-დან | 1.500.000 | კაცამდე |
| ჩინეთი | 1.000.000-დან | 1.500.000 | კაცამდე |
| ინგლისი | | 650.000 | კაცამდე |
| საფრანგეთი | | 650.000 | კაცამდე. |

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირს წინადადება შემოაქვს, რომ არაუგვიანეს 1956 წლის პირველი ნახევრისა მოწვეულ იქნას მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე. სხვა სახელმწიფოებს შეიარაღებული ძალების რაოდენობა უნდა დაუწესდეთ მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს.

ყოველივე ეს ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ უნდა გაკეთდეს სწორედ იმ მასშტაბით, როგორც დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვდნენ. ამის შემდეგ აღარ შეიძლება ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირს, ჩინეთსა და სხვებს ექნებათ რაღაც განსაკუთრებული უპირატესობანი თავიანთ ჩვეულებრივ შეიარაღებაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს საწინააღმდეგო მოსაზრება უნდა მოიხსნას.

ახლა საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებზეა. რამდენადაც სსრ კავშირმა მთლიანად მიიღო მათი წინადადება ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, ახლა დასავლეთის ქვეყნებს საფუძველი არა აქვთ გააჭიანურონ ატომური იარაღის საკითხის გადაწყვეტა, და ისინი უნდა დაეთანხმონ იმას, რომ უარი თქვან ატომური და წყალბადის იარაღის ხმარებაზე და დაეთანხმონ ამ იარაღის სრულ აკრძალვაზე, როგორც საბჭოთა პროექტი მოითხოვს. (ტაში).

ორივე მხრივ ასეთი ნაბიჯების გადადგმა იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქმით შევუწყოთ ხელი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, საქმით შევუწყოთ ხელი საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა მთავრობამ აგრეთვე ანგარიში გაუწია დასავლეთის ქვეყნებს ატომური იარაღის საკითხშიც.

საბჭოთა მთავრობა დაეთანხმა მათს წინადადებას, რომ ატომური იარაღის სრულ აკრძალვამდე სახელმწიფოებს ჰქონდეთ უფლება ეს იარაღი გამოიყენონ თავდაცვის მიზნით აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით, რომ შესაფერის განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს დაშვებული იქნება ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანით. ამასთან საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა საქვეყნოდ იკისრონ ვალდებულება არ იხმარონ ატომგულის იარაღი და იგი თავიანთთვის აკრძალულად მიიჩნიონ. საბჭოთა კავშირი მზად არის იკისროს ასეთი ვალდებულება, თუ სხვა ქვეყნები, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ამასვე იზამენ. ამრიგად, აქაც საქმე ახლა საბჭოთა კავშირზე კი არ არის, არამედ სხვა ქვეყნებზეა.

საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადება შეიცავს არა მარტო ახალ წინადადებებს შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, არამედ კონკრეტულ ღონისძიებებსაც სათანადო გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საქმეში.

ჩვენი წინადადების თანახმად, ამას ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთ საწყისებზე ყველა სათანადო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკონტროლო პოსტების დაწესებამ დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე. ეს საკონტროლო პოსტები უნდა დააწესოს საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ და ისინი ვალდებული არიან თვალყური ადევნონ, რომ არ მოხდეს

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# ვ. მ. მოლოტოვის განცხადების დასასრული

სამხედრო-სახმელეთო ძალების, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საშიში კონცენტრაცია, რათა თავიდან აცილებულ იქნას ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორე სახელმწიფოზე. ამის დამატებად საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უნდა ეყოლოს მუდმივ საფუძველზე შექმნილი ინსპექცია. ამ ინსპექციას სათანადო კონვენციის ხელისმომწერ ყველა ქვეყანაში უნდა ეყოლოს ინსპექტორთა შტატი, რომლებსაც ყოველ დროს დაუბრკოლებლად შეეძლებათ გაეცნონ კონტროლის ყველა ობიექტს.

ასეთია საბჭოთა კავშირის ძირითადი წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამაც. (ტაში).

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ მოკლე დროში ყველა ამ საკითხზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ სხვა მთავრობებიც.

აქ, სან-ფრანცისკოში, ჩვენ ამერიკელ ხალხში ვიმყოფებით. როგორც ჩემი ქვეყნის წარმომადგენელს, მსურს განსაკუთრებით გამოვთქვა კეთილი გრძნობები, რომლებითაც საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ამერიკელი ხალხისადმი. (ტაში).

ყველა დაეთანხმება იმას, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებზე ბევრი რამეა დამოკიდებული, რომ მშვიდობა და უშიშროება უფრო საიმედო, უფრო მტკიცე გახდეს და რომ ამით რწმენა და სიმშვიდე მთელ მსოფლიოში მრავალი წლით უზრუნველყოფილ იქნას. (ტაში). სწორედ ეს სურს საბჭოთა ხალხს, და იგი დარწმუნებულია, რომ ამასვე ესწრაფვის ამერიკელი ხალხიც. (ტაში).

მთავრობათა შორის არსებული უთანხმოება შეიძლება გადაიჭრას, ხოლო სახელმწიფოთა შორის შექმნილი უნდობლობა შეიძლება გადავლახოთ და კიდევაც უნდა გადავლახოთ, თუ როგორც საბჭოთა ადამიანები, ისე ამერიკელები ხელს მოჰკიდებენ ამას, მცირედ არ მიიჩნევენ ამ საქმის სიძნელეებს, არამედ განიმსჭვალებიან მისწრაფებით დაიცვან მშვიდობა და თავიანთი ეროვნული ინტერესები გაერთიანებული ერების პრინციპების შესაბამისად.

იწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის მეორე ათეული წელი. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მისი მთავარი მოვალეობაა მშვიდობის უზრუნველყოფა, ახალი ომის თავიდან აცილება. უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრება — აი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი და მადლიანი ამოცანა.

რაგინდ სამართლიანი იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარსული პერიოდის მოღვაწეობის კრიტიკა, განსაკუთრებით ზოგიერთი მისი ნაბიჯისა მწვავე საერთაშორისო კონფლიქტების დროს, ჩვენ არ მოგვეპოვება საფუძველი ჯეროვნად არ შევაფასოთ ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის არსებობას და მის შემდგომ მოღვაწეობას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის. მას შეუძლია იმუშაოს და კიდევაც უნდა იმუშაოს გაცილებით უფრო კარგად, უფრო აქტიურად და ეფექტიანად, თუ ჩვენ ყველანი, ამ უაღრესად პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები, ვეცდებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობა რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს მის დიად მიზნებსა და პრინციპებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი ათეული წლის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა იმ საერთაშორისო პრინციპების სამართლიანობა და პროგრესულობა, რომლებზეც აგებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ეს პრინციპები კვლავაც უნდა იყოს მისი მოღვაწეობის ურყევი საფუძველი.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ეს პრინციპები ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობენ ბევრი საერთაშორისო აქტით, მათ შორის ისეთი აქტებითაც, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. ეს შეიძლება ითქვას, მაგალითად, ცნობილ ხუთ პრინციპზე, რომლებიც შარშან საფუძვლად დაედო ინდოეთის რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივ დეკლარაციას. ეს შეიძლება აგრეთვე ითქვას აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის დეკლარაციის ათი პრინციპის შესახებ, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საერთაშორისო აქტების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე ახალი ამოცანებიც ისახება.

მაგალითად, მომწიფდა საკითხი, რომ მოწვეულ იქნას მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად. ასეთი კონფერენციის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებიც და არაწევრებიც, შეუძლია მხოლოდ ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ცენტრს, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ საჭიროა ზევრად გავაუმჯობესოთ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც იგი ახორციელებს. ამას, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს ამ წლებში შეძენილი გამოცდილება. ამ მხრივ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმის მზარდ შეგნებას, რომ საჭიროა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი საქმიანობა, რათა ეს საქმიანობა სავსებით შეესაბამებოდეს მის მაღალ მიზნებსა და პრინციპებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს თავისი თვალსაჩინო როლი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ბოლო მოუღოს საერთაშორისო ურთიერთობაში არსებულ დაძაბულობას და ხელი შეუწყოს მას, რომ საჭირო ნდობა დამყარდეს სახელმწიფოებს შორის, რაც შეესაბამება ხალხთა მისწრაფებას, რომელთაც სწყურიათ მშვიდობა, უშფოთველი და მშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა.

ჩვენ ახალ ათწლეულში შევდივართ. ჯერ არასოდეს ასე დიდი არ ყოფილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხალხთა მომავლისათვის, მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ამ მაღალი პასუხისმგებლობის გაგებით უნდა იყოს გამსჭვალული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა საქმე.

საბჭოთა კავშირს სავსებით აქვს შეგნებული იმ ადგილის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირი აკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა მხარი დაუჭიროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მთელ მის მოღვაწეობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მყარი მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. (ტაში).

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 22 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის 21 ივნისის დილის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ბელგიის, ინგლისის, ბრაზილიის, სირიის, დანიის, ჩილისა და ლიბერიის დელეგატებმა. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპააკმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესიის ყოფილმა თავმჯდომარემ, მოუწოდა დელეგატებს განახორციელონ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. სპააკი მიესალმა „საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას“ და განაცხადა, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალმა მოლაპარაკებამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიში გამოთქვა გამალებული შეიარაღების გამო და ყველა სახელმწიფოს მოუწოდა დაიცვან „საყოველთაო კონტროლს-დაქვემდებარებული განიარაღების“ პოლიტიკა, „ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას“. „არ კმარა იმის ლაპარაკი, — განაცხადა შემდეგ სპააკმა, — რომ მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია, ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ იგი რეალობა გახდეს“.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი მაკმილანი, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ორი ბანაკის“ სახელმწიფოთა ყოფნამ თითქოს საშუალება არ მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უზრუნველეყო „კოლექტიური უშიშროება“. მაკმილანმა სცადა გაემართლებინა ისეთ აგრესიულ დაჯგუფებათა შექმნა, როგორიც არის ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, სეატო და მათი მსგავსი დაჯგუფებანი. ინგლისის დელეგატმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საშუალებას იძლევა მოხდეს აზრთა გაცვლა სახელმწიფოთა შორის და მიღწეულ იქნას შეთანხმებული გადაწყვეტილებანი. უკანასკნელ ხანამდე, თქვა მან, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობის დაძაბულობა თითქოს დაუსრულებელი იყო, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო ვითარება „გაირკვა“. ამასთან მაკმილანმა ეჭვი გამოთქვა, რომ შესაძლებელი იყოს მჭიდრო თანამშრომლობა დიდ სახელმწიფოთა შორის. ინგლისი, თქვა მაკმილანმა დასასრულ, თავის წვლილს შეიტანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის განმტკიცების საქმეში.

ბრაზილიის დელეგაციის მეთაურმა სირო დე ფრეიტას ვალემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ათი წლის არსებობის მანძილზე ერთგვარი სასარგებლო მუშაობა შეასრულა. ომი, განაცხადა მან, ატომის საუკუნეში გამოყენებულ არ უნდა იქნას საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად.

სირიის დელეგაციის მეთაურმა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზემმა აღნიშნა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში იზრდება განმათავისუფლებელი მოძრაობა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, განაცხადა მან, აზიისა და აფრიკის 700 მილიონზე მეტმა მცხოვრებმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. „აზიისა და აფრიკის ხალხთა ხმა ძლივს ისმოდა ათი წლის წინათ... მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს ეს ხმა გარკვევით და შთამაგონებლად გაისმა ბანდუნგიდან“. ბანდუნგის კონფერენცია, განაგრძო აზემმა, დადებითი წვლილი იყო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა ურყევი ძალაა. იგი არაბული ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებამდე აღწევს. ასეულ მილიონობით ადამიანმა მოიპოვა თავისუფლება მსხვერპლის გაღებით, ოფლითა და სისხლით, უდიდესი საშინაო სიძნელეებისა და გარედან ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ხალხებმა უცხოელთა ბატონობა საერთაშორისო თანამშრომლობით შეცვალეს. განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა მძლავრი რეალობაა. ეს არის ჩვენი დროის განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც ყველა ხალხმა უნდა გაუწიოს ანგარიში“.

საიუბილეო სესიის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა სცადა შეეწყვეტინებინა სიტყვა სირიის წარმომადგენლისათვის, მაგრამ აზემმა სესიის დელეგატების მხარდაჭერით განაგრძო თავისი სიტყვა. აზემმა სიტყვის დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირს მოჰყვება ცივი ომის დამთავრება და იგი გაამართლებს იმედს მთელი მსოფლიოს ხალხებს.

დანიის დელეგაციის მეთაურმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანსენმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რაც შეიძლება მალე გადაჭრას განიარაღების, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების და სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების პრობლემები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის 21 ივნისის დღის სხდომაზე გამოვიდნენ ისრაელის, პაკისტანის, ახალი ზელანდიის, დანიის, საბერძნეთის, კოლუმბიის, პანამისა და ისლანდიის წარმომადგენლები. მათ მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისა და შემდგომ ღონისძიებათა განხორციელებისაკენ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. სესიის დღის სხდომის დასასრულს გამოვიდა ისლანდიის წარმომადგენელი ტორსი, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო ვითარება ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ყველა ქვეყნის ხალხები, თქვა მან, მშვიდობას ესწრაფვიან. მათ წინაშეა ორი გზა: ერთი გზაა უთანხმოებისა და კონფლიქტების გზა, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ომამდე და ნგრევამდე. მეორე გზაა ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის გზა.

სან-ფრანცისკო, 22 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მონაწილე მთელმა რიგმა დელეგაციებმა გამოთქვეს აზრი, რომ სასურველია სესიამ თავისი მუშაობის დასასრულს მიიღოს მოკლე დეკლარაცია მშვიდობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების სულისკვეთებით. ასეთი დეკლარაცია შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთ ზოგად დებულებას მშვიდობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ, რომლებიც მისაღებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის.

საბჭოთა დელეგაციამ დაუყოვნებლივ გამოთქვა თავისი დადებითი დამოკიდებულება ასეთი დეკლარაციის იდეისადმი, რომელშიც შეჯამებული იქნება დელეგაციათა გამოსვლები საიუბილეო სესიაზე.

ცნობილი გახდა, რომ 19 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გამოთქვა დადებითი დამოკიდებულება აღნიშნული დეკლარაციის მიღების იდეისადმი და განაცხადა, რომ ხელს შეუწყობს ამ საქმეს. ამ იდეას საერთოდ მხარი დაუჭირა აგრეთვე საიუბილეო სესიის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა. ამასთან მან განაცხადა, რომ თუმცა არის ზოგიერთი ფორმალური სიძნელე იმაში, რომ საიუბილეო სესიამ მიიღოს დეკლარაცია, მაგრამ ამ სიძნელეებს მეორეხარისხოვანი ხასიათი აქვს და შეიძლება ისინი გადაილახოს.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წრეებმა აგრძნობინეს, რომ ისინი თანაგრძნობით არ ეკიდებიან ასეთ დეკლარაციას, ამერიკის პრესაში დაიბეჭდა ცნობები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური პირები ვითომ მხარს არ უჭერენ იმ იდეას, რომ სესიამ მიიღოს აღნიშნული დეკლარაცია. მიუხედავად ამისა, ასეთი დეკლარაციის იდეა სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს დელეგაციებს შორის და მას თანაუგრძნობს საზოგადოებრიობა.

სან-ფრანცისკო, 22 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის დღევანდელ დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით (20 საათზე მოსკოვის დროით), გრძელდებოდა დელეგაციათა მეთაურების გამოსვლები.

პირველმა ილაპარაკა ფილიპინების რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა რომულომ.

შემდეგ განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა. (ვ. მ. მოლოტოვის განცხადება იბეჭდება გაზეთის ამ ნომერში).

სან-ფრანცისკო, 23 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის დელეგაციების, ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის, პრესის ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვის მოსასმენად მოვიდნენ არა მარტო სან-ფრანცისკოს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქების და შტატების მცხოვრებნიც. დილაადრიანვე, სესიის დილის სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ასობით ამერიკელი ჩადგა რიგში სხდომების დარბაზში შესასვლელი ბილეთების ასაღებად. სოპერო თეატრის დიდი შენობა გაჭედილი იყო ხალხით და ვერ დაიტია ყველა მსურველი. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟები. სხდომათა დარბაზიდან ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა გადასცეს რადიოთი და ტელევიზიით ქვეყნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა სიტყვა მისცა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურს ვ. მ. მოლოტოვს. დარბაზი ერთსულოვანი ტაშით შეეგება საბჭოთა დელეგაციის მეთაურს, რომელიც ტრიბუნაზე ავიდა. დელეგატები, სტუმრები, კორესპონდენტები შეუნელებელი ყურადღებით ისმენენ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვას, რომლის დროსაც არაერთგზის გაისმის ტაში.

გუშინ დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ფილიპინების, ირანის, კუბის, იემენის, იუგოსლავიისა და გვატემალის წარმომადგენლები.

# გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა

ჰელსინკი, 22 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს 16 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით „მესუჰალის“ დარბაზში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა. სხდომის დარბაზში შეიკრიბნენ 90 ქვეყნის 2 ათასამდე დელეგატი, პრესის, რადიოს და კინოს მრავალი წარმომადგენელი. ვეებერთელა დარბაზი მორთულია იმ ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, საიდანაც დელეგატები ჩამოვიდნენ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის ჟან ლაფიტის წინადადებით არჩეულ იქნა ასამბლეის პრეზიდიუმი 150 კაცის შემადგენლობით.

დღევანდელი სხდომის თავმჯდომარედ არჩეულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე ფრედერიკ ჟოლიო-კიური, რომელიც მშვიდობის მსოფლიო ასამბლეას გახსნილად აცხადებს. მშვიდობის წარმოგზავნილებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფინეთის მშვიდობის მომხრეთა სახელით ფინეთის ნიულანდის გუბერნიის გუბერნატორმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ვიაინე მელტიმ. სხდომაზე გამოქვეყნდა ბელგიის დედოფალ ელისაბედის, ქ-ნ რამეშვარი ნერუს, მექსიკის ყოფილი პრეზიდენტის ლასარო კარდენასის, საფრანგეთის ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარის ედუარდ ერიოს მისალმებათა ტექსტები.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ.

## ჟოლიო-კიურის სიტყვა

ჰელსინკი, 22 ივნისი. (საქდესი). ჟოლიო-კიურიმ თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი ასამბლეისა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ბევრი ქვეყნის სულ სხვადასხვა მოღვაწეები და ორგანიზაციები.

არავის არ შეუძლია უარყოს, თქვა ორატორმა, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა მოთხოვნა ის არის, რომ არ დაუშვან ომი. უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელად შეიცვალა. განცხადებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მთავრობათა პოზიციას, გავლენიანი ადამიანების წერილობით და სიტყვიერად გამოთქმული აზრები უკვე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ელემენტებია.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ ასამბლეას მოაგონა ისეთი ამბები, როგორიც არის დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბერლინის თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ჟენევის თათბირის მოწვევის შესახებ, რამაც ინდოჩინეთში ომის შეწყვეტა გამოიწვია.

რამდენადმე უფრო გვიან ბანდუნგში გაიმართა სხვა კონფერენცია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ამ კონფერენციაზე ხელი მოაწერეს დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ შეთანხმებებს; და ამ კონფერენციაზე მიღებული ათი პრინციპი მშვიდობიანი თანაარსებობის ნამდვილი ქარტიაა.

ამასთან ერთად ჟოლიო-კიურიმ აღნიშნა ისეთი ფაქტები, როგორიც არის ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერა და რატიფიკაცია, რომლებიც იწვევენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რემილიტარიზაციას, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში მის შეყვანას, დასავლეთის კავშირის შექმნას. ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, თქვა ჟოლიო-კიურიმ, ახასიათებენ „ძალის პოზიციის“ ძებნას. ისინი აძლიერებენ მსოფლიოს გათიშვას ბლოკებად.

ჟოლიო-კიურიმ კატეგორიულად უარყო მტკიცება, რომ ამ გზით შექმნილმა „ძალის პოზიციამ“ თითქოს გამოიწვია დემარშები და წინადადებანი, რომლებიც შესაძლებელს ხდიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. სინამდვილეში, თქვა მან, მდგომარეობა სულ სხვაა. სინამდვილეში პარიზის შეთანხმებანი წარმოადგენენ სერიოზულ დაბრკოლებას დაძაბულობის შენელების გზაზე.

რატომ ვაწყდებით დაბრკოლებებს დაძაბულობის შენელების საქმეში? — იკითხა ჟოლიო-კიურიმ. ზოგიერთი მთავრობა დაინტერესებული ხომ არ არის ცივი ომის განგრძობით? ისინი ფიქრობენ, რომ, თავისი სურვილისამებრ აწესრიგებენ რა ამ ცივი ომის ინტენსივობას, მათ შეუძლიათ თავიანთ განკარგულებაში ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ თავიდან აიცილონ ფინანსური კრიზისები, რომ საზოგადოებრივი აზრის თვალში გაამართლონ შეიარაღების პოლიტიკა, რომელიც მოგებას აძლევს ზოგიერთ ჯგუფს.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ აღნიშნა, რომ მშვიდობის ძალების ენერგიული მოქმედების მეოხებით ბევრი ადამიანი, ვისაც ომები გარდუვალად მიაჩნდა, ახლა უარს ამბობს ამ რწმენაზე. პასიურ განწყობილებას საზოგადოებრივ აზრში დღითიდღე ცვლის სულ უფრო თანმიმდევრული და, ამის გამო, სულ უფრო მტკიცე რწმენა, რომ შეიძლება ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ. ჟოლიო-კიურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რწმენა ძლიერდება იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია მეორე მსოფლიო ომის საშინელი შედეგების მოგონებანი და იმიტომ, რომ ცხადი ხდება ის მნიშვნელობა, რასაც მასობრივი მოსპობის იარაღი იძენს.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, განაგრძო მან, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ძალების გამოყენებას დამანგრეველი მიზნით. მაგრამ საკმარისი როდია მხოლოდ იმის ლაპარაკი, რომ ადამიანს აქვს ასეთი შესაძლებლობა. განა საჭიროა მოგაგონოთ, რომ 1945 წლით დაწყებული, ზოგიერთნი ავრცელებდნენ ყოველგვარ საშინელებას იმ ნგრევის შესახებ, რომლის გამოწვევა შეუძლია ატომურ და წყალბადის ბომბს? ამას ავრცელებდნენ, რათა ამ გზით მოეხდინათ პოლიტიკური ზეგავლენა, რომელსაც შანტაჟის ნამდვილი ხასიათი აქვს. უნდა ვაღიაროთ, რომ იმთავითვე ამ შანტაჟმა შთაბეჭდილება მოახდინა ზოგიერთ მთავრობაზე და საზოგადოებრივი აზრის ერთ ნაწილზე. მაგრამ ახლა „ცივი ომის“ ეს იარაღი იმ მთავრობათა წინააღმდეგ შებრუნდა, რომლებსაც სურდათ გამოეყენებინათ დაშინების მეთოდი, რადგან მათმა საკუთარმა ხალხებმა იგრძნეს, რომ ისინი აგრეთვე შეიძლება გახდნენ ატომგულის იარაღის დამანგრეველი მოქმედების მსხვერპლი.

საჭიროა, განაგრძო ორატორმა, დაუყოვნებლივ მივიღოთ ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ატომური ომი. ამიტომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უაღრესად მოკლე ვადაში მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ყოველგვარი ატომური ბომბების წარმოებისა და გამოცდის აკრძალვის შესახებ და რომ ხლეჩადი მასალები, რომლებსაც ბომბების დასამზადებლად აგროვებენ, გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნით.

შეთანხმება ატომური იარაღის აკრძალვის და მისი წარმოების შეწყვეტის შესახებ აუცილებლად გამოიწვევდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ეს შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება იმ გზაზე, რომ ომი გამოირიცხოს როგორც საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის საშუალება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის მიმართვაში ჩამოყალიბებული მოთხოვნა შეესაბამება საყოველთაო სურვილს — უნდა აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი. მაგრამ ცხადია, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის მარტო აკრძალვა ვერ შეაფერხებს იმას, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოიშვას ომები ჩვეულებრივ სახეობათა იარაღით.

ჟოლიო-კიურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის პრობლემა დაკავშირებულია განიარაღების პრობლემასთან, და რომ განიარაღება ის კონკრეტული მოქმედებაა, რომელსაც ესწრაფვის საზოგადოებრივი აზრი.

ასეთმა ასამბლეამ, როგორიც არის ჩვენი ასამბლეა, რომელზეც წარმოდგენილია საზოგადოებრივი აზრის სულ სხვადასხვა მიმდინარეობა, თქვა ჟოლიო-კიურიმ, ანალიზი უნდა გაუკეთოს პრობლემებს, ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა თვალსაზრისი, რათა გამონახოს საერთო პუნქტები, რომლებიც ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს საშუალებას მისცემს გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს მთავრობებზე, რაც კეთილნაყოფიერად იჩენს თავს საერთაშორისო მოლაპარაკების დროს.

ძნელი იქნება სადავოდ გავხადოთ, თქვა ორატორმა, რომ ახლა საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა კიდევ არის გადაუჭრელი ძნელი პრობლემები: საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, კორეის, ვიეტნამის, ტაივანის, ჩრდილოეთ აფრიკის, შუა აღმოსავლეთის, სამხრეთ ამერიკის პრობლემები. ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დაირღვა და საშიშად შეიზღუდა; სახელმწიფოები ახალ ბლოკებს ქმნიან; ზოგიერთი ქვეყანა ქმნის და იკავებს სამხედრო ბაზებს შორს თავისი საზღვრებიდან; გრძელდება გამალებული შეიარაღება; წარმოებს კვლევა ბიოლოგიური იარაღის დარგში; იზრდება ატომური იარაღის მარაგი. მიუხედავად ამისა, ყველა ადამიანს უძლიერდება იმის სურვილი, რომ ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. ოთხი სახელმწიფოს თათბირი, რომელიც მალე შეიკრიბება ჟენევაში, შეესაბამება ამ სურვილს. ეს თათბირი დიდ იმედს იწვევს, და იგი ანგარიშს გაუწევს საზოგადოებრივ აზრს. ამიტომ ჩვენი მუშაობის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, თქვა დასასრულ ჟოლიო-კიურიმ, იმ ამოცანის სიძნელეები, რომელსაც დღეს მოვკიდეთ ხელი. ჩვენ ვგრძნობთ, რაოდენ დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა, მაგრამ ჩვენ იმედს არ გავუცრუებთ იმათ, ვისაც ჩვენი რწმენა აქვს. ჩვენ გამოვნახავთ ყველას გამაერთიანებელ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც საზოგადოებრივი აზრი ჰპოვებს საჭირო ძალას, რათა გადავლახოთ ყველა დაბრკოლება და საქმე წარვმართოთ მშვიდობის გზით.

* * *

ჟოლიო-კიურის სიტყვის დამთავრების შემდეგ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის პირველი სხდომა დაიხურა.

# ინგლისის პრესა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგის შესახებ

ლონდონი, 22 ივნისი. (საქდესი). ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით ბეჭდავს მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს იმ სიტყვის შესახებ, რომელიც ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგზე. „ტაიმსმა“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“ წამყვან თემად აირჩიეს ნ. ა. ბულგანინის სიტყვა. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას. „დეილი მეილს“ და სხვა გაზეთებს მოჰყავთ ნ. ა. ბულგანინის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი და უმაღლესი პრინციპი მუდამ იყო და კვლავაც არის მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა.

# ალჟირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრების გამო

პარიზი, 22 ივნისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ალჟირის კომუნისტური პარტიის მდივანი პოლ კაბალერო და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ჟორჟ რაფინი, რომლებიც ალჟირში დააპატიმრეს, საპყრობილეში ჰყავთ. მათ ბრალად ედებათ „ამბოხება“ და ხელისუფლების წარმომადგენელთა „შეურაცხყოფა“.

ალჟირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ ძლიერი პროტესტი გამოიწვია. „ლუმანიტე“ წერს, რომ საფრანგეთის მთავრობის სახელზე ბევრი საპროტესტო წერილი, დეპეშა და პეტიცია მოდის ალჟირიდან, ორანიდან, კონსტანტინიდან, ბონიდან, ბუჟიდან და ალჟირის სხვა ქალაქებიდან. ალჟირში ვრცელდება ათეულ ათასობით ფურცელი, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ იბრძოლოს პოლ კაბალეროს და ჟორჟ რაფინის განთავისუფლებისათვის.

# გადადგა იტალიის მთავრობა

რომი, 22 ივნისი. (საქდესი). დღეს იტალიის მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა მარიო შელბა, გადადგა.

# სპორტის ამბები

## ევროპის პირველობა ფრენბურთში

ბუქარესტში გრძელდება ევროპის პირველობის გათამაშების ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. 20 ივნისს საღამოს პირველად ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და უნგრეთის ვაჟთა გუნდები. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა უნგრელ სპორტსმენთა გამარჯვებით 3:2. ასეთივე ანგარიშით ბულგარელმა ფრენბურთელებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს. ეს ბულგარეთის გუნდის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა.

## ამხანაგური მატჩი

21 ივნისს მოსკოვში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდსა და ცდსა-ს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ცდსა-ს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

## საქალაქო პირველობა სასტენდო სროლაში

მონკავშირის ვაკის სტენდზე დამთავრდა პირად-გუნდური შეჯიბრება სასტენდო სროლაში თბილისის პირველობაზე. პროგრამაში იყო ადგილიდან, მისვლით და მრგვალ სტენდზე სროლა.

ქალთა შორის პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს ე. მელიქიშვილმა (ადგილიდან სროლა) და თ. ციციშვილმა (მრგვალ სტენდზე სროლა); ვაჟთა შორის თბილისის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატები ბ. ანტონოვი (ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა) და დ. ცაგარეიშვილი (მისვლით სროლა).

გუნდურ ასპარეზობებში გაიმარჯვეს: ადგილიდან სროლაში — მონკავშირის სპორტსმენთა კოლექტივმა, მრგვალ სტენდზე სროლაში — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო მონადირეთა საზოგადოების გუნდმა. ქალთა გუნდებს შორის ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში პირველ ადგილზე გამოვიდა მონკავშირის მსროლელთა კოლექტივი.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — აიდა, რუსთაველის სახელობის — ოტელო, მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი, გრიბოედოვის სახელობის — თასმნის ბაღში, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან.

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ქარიშხალი, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო) — ქართული ბალეტის ოსტატები, კომკავშირელი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — რიო ესკონდიდო, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ავარა (I და II სერია), კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი — თეთრთოვლა, კოლხიდა (საზაფხულო) — დედა, მამა, მოსამსახურე და მე, ისანი (საზაფხულო) — ვატერლოოს ხიდი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — კარდინალი რიშელიე, დიდუბე (საზაფხულო) — სილვა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ამ დღეებში

ახალი სპექტაკლი

ვ. როზოვი

**„ხალისიანი მეგობრები“**

(გზა მშვიდობისა)

კომედია 4 მოქმედებად 5 სურათად ქართული რედაქცია ს. კლდიაშვილისა, დადგმა აკ. დვალიშვილისა, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი.

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.


მეუღლე თებრო, შვილები მარიამ, ნინო ოჯახებით იუწყებიან

**სერგო პავლეს-ძე გოგიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VI ცაგერში.

მეუღლე მარო, შვილები ჯიმშერ, ელდარ, შამილ, დები ქსენია, კატუშა და ნასტია იუწყებიან

**ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე კავტიევსკის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VI, 8 ს. გამოსვენება 26-VI, 6 ს. ჩელუსკინელების ქ. № 22.

მოქალაქე **დარჩო გეურქის-ძე მირაქოვმა**, მცხოვრებმა ეჩმიაძინის ქ. № 23, აღძრა საქმე ხივას შესახვ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე **მანია კარაპეტის ასულ ოგანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სერგო არტემის-ძე ბელოიანმა**, მცხოვრებმა 300 არაგველთა შესახვ. № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანა სანდროს ასულ ბელოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები იასონ, ბათლომე, ქვაჩა, დონია, ოლია, ქსენია ოჯახებით იუწყებიან

**სალომე სიმონის ასულ ჭოჭუა-მეძველიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-VI სოფელ ნავაზაოში (ვეგეჭკორის რაიონი).

შვილი ქსენია იუწყება

**ოლინკა ეგნატეს ასულ ზარკალაია-გაბუნიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 25-VI, 5 ს. ბნელი რიგი № 12.

დედა ალათი, მეუღლე ქენია, შვილი გოდერძი, ძმა მიხეილ, დები ვერა, თულია ოჯახებით იუწყებიან

**პლატონ ანტონის-ძე გძელიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VI, 8 ს. გამოსვენება 26-VI, 3 ს. გრიბოედოვის ქ. № 21.

უე 04137 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.